



დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 7 სექტემბერი

დისციპლინური საქმე №12/19  
მოსამართლე --- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2019 წლის 22 იანვრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 19 თებერვლის №50/12-03 წერილით, მოსამართლეს ეცნობა საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 15 მარტს.

**1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:**

საჩივრის ავტორი მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას ხდის სადავოდ.

**2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

-- -- 2017 წლის 9 ივნისს განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს, მოწინააღმდეგე მხარის - -- -- მიმართ -- -- სასამართლოს 2006 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმების და საქმის წრმოების განახლების მოთხოვნით.

2016 წლის 13 ივლისის განჩინებით დასაშვებად იქნა მიჩნეული -- -- განცხადება 2006 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ.

17.07.2017; 17.08.2017; 24.08.2017; 11.09.2017 წწ პერიოდებში გაიმართა სასამართლო სხდომები.

2017 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილებით -- -- განცხადება -- -- სასამართლოს 2006 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

2017 წლის 26 სექტემბერს -- -- კერძო საჩივარი წარადგინა სასამართლოში და 2017 წლის 11 სექტემბრის განჩინების გაუქმება ითხოვა.

2017 წლის 29 სექტემბერს საქმე გადაიგზავნა სააპელაციო სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული.

2018 წლის 8 თებერვლის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

### **3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია). იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, ამავე ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამდღვრები.

ამავე კოდექსის 422-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება, ხოლო მე-2 ნაწილის თანახმად ვადის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველების არსებობა. ამავე კოდექსის 430-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით თუ აღმოჩნდება, რომ საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება უსაფუძვლოა, სასამართლო გამოიტანს განჩინებას განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ მოცემული განცხადება არ აკმყოფილებდა როგორც საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, ასევე 426-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის მოთხოვნებს. -- არ იქნა მიჩნეული იმ პირად ვის ინტერესებსაც შეეხო გადაწყვეტილება. ამასთან, დარღვეული იყო მისი როგორც -- უფლებამონაცვლის მხრიდან გადაწყვეტილებაზე განცხადების შეტანის ერთიანი ვადა.

განსახილველ შემთხვევაში, მოსამართლე -- შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერებაზე. განჩინების ამ მხრივ შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

**4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქართველოში მართლმსაჯულებას საერთო სასამართლოები ახორციელებენ. მართლმსაჯულების განხორციელება, თავისთავად, გადაწყვეტილებათა გამოტანასაც გულისხმობს. მხარეთა მოთხოვნების მართებულობასა და კანონიერებას სასამართლო წყვეტს და მხარე რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმება არ ნიშნავს რომ გადაწყვეტილება არაკანონიერია.

მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 15 მარტის დასკვნით დადგინდა, რომ -- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას („საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტით, 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

-- -- №-- საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

**ზურაბ აზნაურაშვილი**

**დამოუკიდებელი ინსპექტორი**